ცნობის ფურცელი

№ 1920 | სამშაბათი, 10 სექტემბერი | 1896—1902 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 1920

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

რუსთა მწერლები 1

გამოცემა იოსებ იმედაშვილისა, № 21:

მაქსიმე გორკის 12 მოთხრობა, თარ. ვ. გიუნაშვილისა, ავტ. სურ. და ივ. გომართლის კრიტიკული ბიოგრაფიული ვრცელი წერილით (ეს წერილი არსად არა ყოფილა დაბეჭდილი, პირველად ამ წიგნშია ჩართული). ფასი სამი აბაზი. იყიდება ამომცემელთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ. Тифлисъ. книж. торг. І. З. Имедашвили. (5—2)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

გ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ა. გ. ყალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ლ. ი. კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. გ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 9—10.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

გ. გ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

გრ. ვ. სოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ე. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ყ. ზ. ყალალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სკანსჯოდისა, № 21. (აგჯალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების
გამგეობა
ამით აცხადებს, რომ რეპეტიციები
გამოსაცდელ წარმოდგენისა
დაიწყება 10 სექტემბრიდან.

ვისაც ჰსურს ამ წარმოდგენებში მონაწილეობა მიიღოს, თანხმობა უნდა გამოაცხადოს გამგეობის კანტორაში. (3—3)

1 ენკენისთვიდან ქ. ოზურგეთში გაიხსნა ქალების ოთხ-კლასიანი სასწავლებელი პროგიმნაზიულის კურსით. თხოვნები მიიღება მთელის წლის განმავლობაში გიგო გოგიტიძის სახლში. (6. 10—8).

ექიმი
ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
ყალალაშვილი
(მიხეილის ქუჩა, 30)

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე.

ქართულ ოჯახში
საჭიროა
აღმზრდელი

ქართველი ქალი, მცოდნე ფრანგული ენისა.

ადრესი: ვარანცოვის ქუჩა № 63, იკითხეთ სკოლის გამგე. (3—1)

ექიმი
დავით ალექსანდრეს ძე
გედევანიშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდის.

კიროჩნი ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ. (45—5)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. ამას წინად მთავრობამ სხვა და სხვა უცხო სახელმწიფოებთან მყოფი ელჩები გამოსცვალა და ახლები დანიშნა. ამ ამბავმა ცხარე პოლემიკა გამოიწვია გაზეთებში; ამბობენ, ზოგიერთი დეპუტატი მთავრობასაც დაეკითხება ელჩების გამოცვლის თაობაზეო. მთავრობის მოწინააღმდეგე გაზეთებმა უმეტესად ორი ელჩის თაობაზე ასტეხეს დავიდარაბა: მარკიზ დე-ნოაილი ბერლინიდან და მარკიზ დე მონტებელლო პეტერბურგიდან რად დაითხოვეთო. „გოლუა“ და სხვა კლერიკალური გაზეთები ამტკიცებენ, თუმცა ამ ელჩებმა დიდი სამსახური გაუწიეს საფრანგეთს, და მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ელჩებს ჭკუაში არ მოსდიოდათ სამინისტროს შინაური პოლიტიკა, მთავრობამ აღარას დაჰხედა და სამსახურიდან გადააყენაო.

ელჩებმა თითონაც გამოუცხადეს სხვა-და-სხვა გაზეთების თანამშრომლებს: ჩვენის ნებით კი არ გავედით სამსახურიდან, მთავრობამ გადაგვაყენაო. „მატენ“-ის თანამშრომლისათვის მარკიზ დე ნოაილს უთქვამს: „ჟურნალ ოფისიელ“-ში ეწერა ჩემზე: „პენსიის მიღების უფლება ჰქონდა და მთავრობამაც ვითომ იმიტომ დამითხოვა, რომ დამსახურებული პენსია მიმეღოო. ნამდვილად კი პენსია ჯერ არ დამიმსახურნია.„ კორესპონდენტს უკითხავს: „იქნება თქვენ საჯაროდ გამოსთქვით თქვენი გულის წყრომა კონგრეგაციების დახურვის თაობაზე და მთავრობამაც ამაზე დაგითხოვათ?“. მარკიზ დე-ნოაილს უპასუხნია: “ეგ ტყუილია. დიდი ხანია რესპუბლიკას ვემსახურები და უნდა მოგახსენოთ კიდეც, არც კლერიკალი ვარ. თქმა არ უნდა, ღვთის მოყვარული ვარ, მაგრამ კლერიკალიზმი სავნებლად მიმაჩნია. როგორც ჰხედავთ, კონგრეგაციების საქმეს ჩემ დათხოვნასთან არაფერი კავშირი არა აქვს. დიპლომატიაში და სხვა ასპარეზზედაც ახალ-ახალი ხალხია საჭირო; ახალგაზდა ხალხი თხოულობს ადგილებს, ვაკანსიებია საჭირო“...

მონტებელლოზე „გოლუა“ სწერდა: რამდენიმე წელიწადი შესრულდა, რაც მონტებელლოს არავითარი პირდაპირი მიწერ-მოწერა აღარა ჰქონდა საფრანგეთის მთავრობასთან, მარტო გარეშე საქმეთა მინისტრთან ეჭირა საქმე. დელკასეს გარდა, არც ერთს სხვა მინისტრს არ იცნობს, არც ვალდეკ-რუსსოს კაბინეტში, არც ეხლანდელში. შარშან კომპიენში რომ რუს ხელმწიფე მივიდა, მონტებელლო იქაც კი თითქო ერიდებოდა მინისტრებს.

ამას წინად მონტებელლო პარიზში მოვიდა პეტერბურგიდან; ელჩის ცოლი შინაგან საქმეთა სამინისტროში მისულიყო გასაგებად, რა ბედი მოელის მასწავლებელს მონაზნებს ჩემს მამულ სტორშიო. ელჩის მეუღლეს ეთხოვნა პირველი მინისტრის შვილისათვის, ედგარ კომბისათვის,—(კაბინეტის უფროსადაა), ნება მიეცით მონოზნებს წინანდებურად ასწავლონ ყმაწვილებს ჩემს მამულშიო. ედგარ კომბი დაჰპირებია, პირველ მინისტრს გადავცემ თქვენ თხოვნასაო. მარკიზის მეუღლე იმავე დღეს ხელმეორედ დაბრუნებულა სამინისტროში; თურმე ძლიერ დიდხანს მოუხდა ლოდინი და ბოლოს ედგარ კომბს ეთქვა: „სამწუხაროდ, უნდა გამოგიცხადოთ, რომ თქვენ მონოზნებსაც იგივე მოელის, რაც სხვებსაო“.—„კარგი და პატიოსანი, მაგრამ მონოზნებთან მეც უნდა ამყაროთ და გადამასახლოთ ჩემი მამულიდანაო“—ეპასუხნა მარკიზის მეუღლეს.

„გოლუა“-ვე სწერს; „თითონ მარკიზ მონტებელლოს რამდენისამე ხნის წინად უთქვამს პეტერბურგში: ეხლა მეც პარიზში უნდა წავიდე. მთავრობა ჩემი ციხე-დარბაზ სტორიდან მონოზნებს სდევნის. იქ უნდა დავესწრო, რომ მთავრობამ მონოზნებთან ერთად ბარემ საფრანგეთის ელჩი და საპატიო ლეგიონის ორდენის დიდის ჯვრის პატრონიც გადაასახლოს.

რეაქციონური გაზეთები ირწმუნებიან, მონტებელლოს დათხოვნა საფრანგეთ-რუსეთის კავშირზედაც იქონიებს გავლენას; იქნება ეს კავშირი შეირყეს კიდეცაო. გაზ. „მატენ-“ში ამის პასუხად შემდეგი შენიშვნა დაიბეჭდა:

ბ. მონტებელლოს სთხოვეს, სამსახურიდან გადადეგო, მაგრამ ელჩმა უარი გამოაცხადა,—ეს სრულიად მართალია. მთავრობამ იმაზე დაითხოვა მონტებლლო სამსახურიდან, რომ პოლიტიკაში ისე არ იქცეოდა, როგორც რიგი და წესია. ყოველი ელჩი თავისის ქვეყნის საშინაო საქმეზე ხმას არც კი უნდა იღებდეს და პარტიების დავაში არ ერეოდეს. მარტო გარეშე საქმეებზე უნდა ჰფიქრობდეს და ჩვენი გარეშე ინტერესებისათვის ზრუნავდეს. ბ. მონტებელლოს ხანდახან ავიწყდებოდა ხოლმე ეს უბრალო ანბანური მოვალეობა. ამიტომ უფლება აღარა აქვს მთავრობას დაემდუროს და უჩიოდეს. ამას გარდა, მონტებელლოს სამსახურიდან გადაყენება დიდი ხანია რაც გუნებაში ჰქონდა მთავრობას. ამ საქმეზე ლაპარაკი ვალდეკ-რუსოს სამინისტროს დროსვე იყო ჩამოგდებული. არავინ არ დაიჯერებს, ვითომ მონტებელლოს დათხოვნის ამბავი წინადვე რუსეთს არ შეატყობინეს, ან ამ საქმეში რაიმე ზრდილობის წესი დაარღვიეს. ბ. მონტებელლოს ძრიელ ენანება თავისი ადგილი; იქნება დიდი სინანულიც ემართოს, მაგრამ შიშით კი სულ ტყუილად ეშინიან. იმის მოადგილეს რუსეთში სულ არ გამოუჩნდება იმდენი დაბრკოლება, როგორც ზოგიერთი იმუქრება. ბომპარს ისე მიიღებენ რუსეთში, როგორც ახალი ელჩის ჭკუასა, საქმიანობასა და ზრდილობიანობას შეჰფერის. გამარჯვებაც ამისი შესაფერისი ექნება. მონტებელლო საფრანგეთის ზოგიერთი დასის ელჩად იყო პეტერბურგში; ბომპარი კი მთელი საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩად იქნება“.

◆ კონგრეგაციების სკოლების დახურვის დროს ბევრგან, ნამეტნავად ბრეტანში, ხალხმა წინააღმდეგობა გაუწია მთავრობის მოხელეებს. მოწინააღმდეგენი მთავრობამ სამართალში მისცა. სხვათა შორის, სამართალში მისცეს როიალისტი მებატონე პიერ კროკიც. ამ დღეებში ქალ. ბრესტის სასამართლოს ეს საქმე გაურჩევია და სულ მცირე სასჯელი გადაუწყვეტია კროკისათვის: 100 ფრანკი ჯარიმა უნდა გადიხადოს, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გადაიხადოს, თუ ამის შემდეგ კიდევ სხვა რამ დანაშაული ჩაიდინა. სასამართლომ სცნა, რომ კროკს მოხელეებისათვის ხელიც არ უხლია. მარტო ხელოსნისათვის, რომელიც კარების გასაღებად მიეყვანათ, დაესხა უწმინდურებაო. საქმის გარჩევის დროს პროკურორს ციფრებით დაემტკიცებინა: კონგრეგაციებს მარტო იმ კომუნებში გამოსარჩლებიან, სადაც სულ ლოთი ხალხი სცხოვრობსო. ყველა ამ სოფლებში დიდძალი არაყი ისყიდება ყოველ წელს და თან-და-თან ეს ლოთობა ძლიერდება თურმე.

„მატენ“-ი შეჰნიშნავს, ამ პროცესში ერთი უცნაური ამბავიც მოხდაო: ბევრმა მოწამემ ფრანგული არ იცოდაო. ეს მოწმები ბრეტონულად ლაპარაკობდნენ და თარჯიმანი ფრანგულად უთარგმნიდა სასამართლოსაო. „მატენ“-ი სწერს:

„ასი წელიწადი შესრულდა დიდი რევოლიუციის შემდეგ 1869 წელს აქეთ სახალხო განათლებისათვის დიდ-ძალი ფული იხარჯება. 1869 წელს 51 მილ. ფრანკს ვხარჯავდით ამ საქმეზე, 1900 წელს კი—200 მილ. ერთის სიტყვით ფული არ დაგვიშურებია, რომ გაერთიანებულ საფრანგეთში ფრანგული ენა ყველამ იცოდეს. ბევრს რასმეს მოასწავებს ეს ამბავი“.

ინგლისი. ინგლისის მთავრობამ თითქმის მთელს ირლანდიაში გაძლიერებული დაცვის წესები შემოიღო. ამას წინად ირლანდიის დედა-ქალაქ დუბლინშიაც გამოუცხადებიათ ეს წესები. დუბლინის ქალაქის საბჭოს განგებ კრება მოუხდენია ამის თაობაზე და 40 ხმის უმეტესობით 6 წინააღმდეგ დაუდგენია: მთავრობას პროტესტი გამოუცხადოთ განსაკუთრებული წესების შემოღებისათვისაო. საბჭოს დადგენილებაში ნათქვამია თურმე: „მთავრობამ ამ წესების შემოღებით დიდი შეურაცხყოფა მიაყენა დუბლინის მოქალაქეებს, რადგანაც მთელ ქვეყნიერობაზე არა ხდება ისე ცოტა ბოროტ-მოქმედება, როგორც დუბლინში, თუ, რასაკვირველია, გავიხსენებთ ამ ქალაქის სიდიდესა და ხალხის სიმრავლეს“. მოქალაქეების წარმომადგენლები ამბობენ შემდეგ: „უყოყმანოდ ვაცხადებთ, რომ გაძლიერებული დაცვის თაობაზე გამოცემული მეფის პროკლამაცია ნამდვილი სიცრუეა და ცილის წამება. დილონმა ამას წინად სრული სიმართლე სთქვა: ირლანდიის შეერთებული ლიგის უმთავრესი მეთაური—ირლანდიის საქმეთა მინისტრი უინდჰემიაო. მეფის პროკლამაცია უფრო გააცოცხლებს და გააძლიერებს ამ ლიგას. იქნება მალე ისევ ისე გაძლიერდეს, როგორც პარნელის დროს იყო“.

ოსმალეთი. ამას წინად რუსეთმა ალბანიაში ქალ. მიტროვიცაში თავისი საკონსულო დააარსა და კონსულად შჩერბინა დანიშნა. ალბანელებს ძლიერ ეწყინათ ეს ამბავი, მიუცვივდნენ კონსულს, თითონ დაატყვევეს, იმისი დარაჯები განდევნეს და მოსამსახურეებს გამოუცხადეს: აქედან დაიკარგენით, თორემ სულ ერთიან ამოგწყვეტავთო. ეხლა რუსეთის ელჩს მოუთხოვნია ოსმალეთის მთავრობისათვის: ამ საქმის მოთავე ალბანელების წინამძღოლი დაუყოვნებლივ დაიჭირეთ და ალბანიიდან დაჰკარგეთო და ალბანიის მთავარ-მართებელს მისწერეთ, რუსეთის კონსულს საკონსულო თითონ ჩააბაროს და

ამას იქით თვალ-ყური ეჭიროს, ხმა აღარავინ გასცესო. ხონთქარმა რუსეთის ყველა მოთხოვნილება შეასრულა და ამის შესაფერისი ბრძანებაც გამოსცა. რუსეთის ელჩის ქაღალდში თურმე ეწერა: რუსეთს ნება აქვს სხვა დაკმაყოფილებაც მოითხოვოსო.

გერმანიის მთავრობამ ლამის მთელი ოსმალეთი ხელში ჩაიგდოს, მარტო მცირე აზიას აღარა სჯერდება და ეხლა მაკედონიისათვისაც მიუყვია ხელი. გაზეთები ამტკიცებენ: გერმანიაში განზრახვა აქვთ, მაკედონიაში გერმანელები დაასახლონო.

გერმანია. მალე ჰამბურგში თავისუფალ მოაზრეთა დასის კრება დაიწყება. კრებას უმთავრესად სადამოჟნო კანონ-პროექტზე ექნება სჯა-ბაასი. დეპუტატს ფიშბეკს თავისი თანამოაზრე ჯგუფის სახელით ამნაირი რეზოლიუცია შეუდგენია:

„თავისუფალ მოაზრეთა დასი იმ აზრისაა, რომ ახალი სადამოჟნო პროექტის მიღება ყოვლად შეუძლებელია. რადგანაც ეს პროექტი დიდ ზარალს მოუტანს გერმანიის ერის ყველა კლასებს და გერმანიის კულტურულ განვითარებას შეაფერხებს. კრება დარწმუნებულია, ჩვენი დასის დეპუტატები წინანდებურად მხნედ მოიქცევიან და არავის მისცემენ ნებას, პურისა და სხვა საჭირო საქონლის ბაჟი გაადიდონ.

ახალი ამბავი

✦ 27 სექტემბერს **ტფილისში მოელიან** სატყეო დეპარტამენტის დირექტორს, იმპერიაში ტყეთა გამგებლების ინსპექტორს ბ-ნ ნიკიტინს, რომელიც შეისწავლის აქაურ სახაზინო ტყეთა მეურნეობას.

✦ გუშინ, 9 სექტემბერს, პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვიდა რუსეთის **ფოსტა-ტელეგრაფის** დაწესებულებათა უფროსის თანაშემწე ბ-ნი კორმილევი.

✦ გუშინ 9 სექტემბერს, ახტალიდან ტფილისში დაბრუნდა **საქართველოს ეგზარხოსი.**

✦ 1900 წლის საბჭოს დადგენილების თანახმად, **ქალაქმა მოიწვია ქალაქის ელექტრო-ტეხნიკოსად** ბ-ნი ხითაროვი, რომელმაც თავისი სპეციალი სწავლა პეტერბურგის საელექტრო-ტეხნიკო ინსტიტუტში მიიღო. გამგეობას დაუვალებია ბ-ნ ხითაროვისათვის გამოიანგარიშოს დაწვრილებითი ცნობები იმ სამუშაოსი, რომლითაც „ჰელიოს“-ის პროექტით უნდა გაკეთდეს ქალაქის ქუჩებში ელექტრონით განათება; აგრეთვე ელექტრონის მავთულების მიწაში გატარების შესახებაც უნდა თავისი აზრი წარუდგინოს ბ-ნმა ხითაროვმა გამგეობას.

✦ საბებიო ინსტიტუტის დირექტორი ბ-ნი ფიშერი დაჰკითხებია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, **რა უფლება აქვს ქალთა საეპარქიო სასწავლებლის მოსწავლეს** ქალთა გიმნაზიის მოსწავლესთან შედარებითაო. ეს საკითხი იმას გამოუწვევია, რომ ინსტიტუტში შესვლის ნება ქალთა საეპარქიო სასწავლებლის მეექვსე კლასის მოსწავლე ქალს გამოუცხადებია. მზრუნველს შეუთვლია, მე თვითონ არ ვიცი ამ სასწავლებლის უფლებანიო. ამიტომაც ბ-ნი ფიშერი ამ თხოვნით მიქცეულა სამედიცინო დეპარტამენტისაკენ.

✦ გუშინ, 9 სექტემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაამთავრა მესამე საარჩევნო ნაწილის **კანდიდატთა სიის** გადათვალიერებაც. სიები წარუდგენია 90 კაცს; დასახელებულია სულ 153 კანდიდატი, აქედან ყუთი უნდა დაედგას 74 კაცს. აი მათი გვარები:

ნიკ. გ. აბრამიანცი 16 ხმით იქმნა დასახელებული, ბ. გ. ადასაროვი 39 ხმ., პ. ი. ალიბეგოვი 18 ხმ., ალ. პ. ანდრეევი 43 ხმ. თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი 77 ხმ., თავ. ნ. ეგ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი 40 ხმ., ნ. არ. ალფონსკი 21 ხმ., ა. ს. ბაბოვი 88 ხმ., მ. ს. ბაბოვი 19 ხმ., ლ. პ. ბილფელდი 31 ხმ., გ. გ. ბერელაშვილი 19 ხმ., ა. პ. ბერეჟანოვი 31 ხმ., მ. იგ. ბლეტკინი 63 ხმ., ალ. ალ. ბოგოიავლენსკი 32 ხმ., თ. ი. ბოგდანოვი 21 ხმ., ნ. მ. ბოლოტინი 46 ხმ., გ. გ. გარდამოვი 19 ხმ., სპ. ის. გაწაძე 73 ხმ., იბრაჰიმ ბეგ—გექილოვი 54 ხმ., გ. გ. გეტცელი 30., ნ. არ. გრიქუროვი 74 ხმ., ა. ს. დუდაძე 61 ხმ., ა. ა. გადომსკი 21 ხმ., ივ. მ. გამყრელიძე 76 ხმ., მ. დ. გულისაშვილი 51 ხმ., მ. რ. დოლუხანოვი 19 ხმ., ა. ბ. ევანგულოვი 42 ხმ., გაბ. გ. ირიცფუზოვი 20 ხმ., ა. ი. კაზაკოვი 65 ხმ., ლ. ქ. ქალანთაროვი 19 ხმ., ნ. ქ. ქალანთაროვი 38 ხმ., ნ. მ. ყარამურზა 66 ხმ., ნ. ჯ. ქართველიშვილი 14 ხმ., პ. ი. ყიფიანი 56 ხმ., მ. ქ. ყიფიანი 39 ხმ., დ. ი. ყორდანოვი 10 ხმ., გ. თ. კუნდუროვი 17 ხმ., მ. ვ. ლუნკევიჩი 36 ხმ., ი. ი. მაიერი 71 ხმ., ზ. დ. მამულოვი 32 ხ., გ. პ. მელიკ-კარაკოზოვი 61 ხმ., ს. ს. მესტიშვილი 40 ხმ., ალ. ი. მირიანაშვილი 40 ხმ., ა. ი. ნატროშვილი 41 ხმ., ნ. ნ. ოსტროგორსკი 48 ხმ., პ. ნ. ფრიდონოვი 27 ხმ., ტ. ი. რუდენკო 19 ხმ., ს. ე. სიმონოვიჩი 20 ხმ., ი. ზ. ტატიშვილი 39 ხმ., ლ. ფ. ტიგრანოვი 60 ხმ., ი. ფ. ტხორჟევსკი 77 ხმ., ტ. ა. ფეფელოვი 47 ხმ., ა. ი. ფლორენსკი 75 ხმ., ა. ი. ხატისოვი 69 ხმ., ი. მ. ხრამელაშვილი 40 ხმ., ნ ა. ხუდადოვი 60 ხმ., ს. ფ. ჭრელაშვილი 49 ხმ., მ. ნ. შარიფოვი 61 ხმ., გ. გ. შახბუდაგოვი 45 ხმ., ა. ა. ენფიანჯიანცი 64 ხმ., ბ. ს. ესაძე 41 ხმ., ს. გ. დავიდოვი 13 ხმ., ი. ხ. კაპრანოვი 13 ხმ., ვ. ს. რემეზოვი 20 ხმ , მ. ლ. სოსინი 20 ხმ., მ. ი. პატაპოვი 5 ხმ., ტ. ი. მარკინი 13 ხმ., ან. მ. ლინჩევსკი 13 ხმ., ლ. ი. მდებროვი 11 ხმ., ტ. ა. ენფიანჯიანცი 6 ხმ., ი. ნ. კაზაკოვი 6 ხმ., ი. ა. ერმოლოვი 5 ხმ., ვ, ი. ბუშკინი 5 ხმ. ნ. ი. ვორონინი 5 ხმ.

✦ კვირას, 8 სექტემბერს, **აკურთხეს** ახლად აგებული სამ სართულიანი სახლი დიდის მთავრის ქუჩაზე ტფილისის მეორე ქალთა გიმნაზიის მოსათავსებლად. გიმნაზია კიდეც გადავიდა ახალს შენობაში.

✦ სომეხ-გრიგორიანთა კათალიკოსს მკრტიჩ I-ლს კვირას, 8 სექტემბერს, ი. ს. ალიხანოვის მეთაურობით **დეპუტაცია წარუდგა** და სხვათა შორის სთხოვა არქიმანდრიტი გარეგინი ისევ ამერ-იმერის სომეხ-გრიგორიანთა ეპარქიის მმართველად დაეტოვებინა.

✦ ტფილისის კადეტთა კორპუსის დირექტორი, გენერალ-მაიორი კიჩეევი, როგორც გადმოგვცეს, ტფილისს სტოვებს და შიდა რუსეთს გადადის. კორპუსის დირექტორად დონის კორპუსის დირექტორი გენ.-მაიორი ანჩუშკინი ინიშნებაო.

✦ დღეს, 10 სექტემბერს, **სხდომა** ექნება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს. სხვათა შორის, საბჭო განიხილავს: მოხსენებას საეკლესიო ღვინის შესახებ, მოხსენებას საზოგადოებასთან საკომისსიო ბიუროს დაარსების შესახებ და სხვ.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერმა ბრძანება გასცა ქალაქის საპოლიციო ბოქაულებზე, **უთუოდ აღუკრძალეთ გრამმოფონების ტარება** და ეზოებში ამათი ღრიალიო. ვინც ამ განკარგულებას არ დაემორჩილოს, უთუოდ სამართალში მიეცითო.

✦ მომავალის თვის პირველ რიცხვებში ტფილისის **საბებიო ინსტიტუტში** გამოსაცდელი ეგზამენები დაიწყება იმ ქალებისათვის, რომელთაც სრული კურსი მოისმინეს ამ ინსტიტუტში.

✦ ამ წლიდან ტფილისის **საბებიო ინსტიტუტში მისაღები ეგზამენები მოიხსნა.** ამას იქით მსურველს მიიღებენ მხოლოდ გიმნაზიის ოთხის კლასის მოწმობით, ან ამის თანაბარის სხვა საქალებო სასწავლებლის მოწმობით. ჯერ წელსვე დაეტყო ამ წესის შემოღება ინსტიტუტში შემსვლელთა ვინაობას. რადგან უფრო უცხოელები მოხვდნენ. შემდეგში ხომ უფრო დაეტყობა ეს ამბავი და ჩვენები უფრო ცოტანი მოჰხვდებიან ამ სასწავლებელში. რა თქმა უნდა, ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ექმნება სოფლისათვის, სადაც ისედაც გაჭირვებული ხალხი უფრო მეტს ნაკლს იგრძნობს უბებიაობითა.

✦ მთავარ-მართებელს დაუმტკიცებია საბებიო ინსტიტუტში მყოფ **მიგდებულ ბავშთა დამზრდელ სამზრუნველოს** დაარსების პროექტი. ამიტომ ტფილისის გუბერნიისათვის ასეთი სამზრუნველო ჩქარა დაარსდება გუბერნატორის თავმჯდომარეობით. ამასთანავე დანიშნულ იქმნებიან ექიმი და ორი ბებიაც განსაკუთრებით მიგდებულ ბავშთა თვალყურის სადევნელად.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა წინადადება გუბერნატორისა იმის შესახებ, რომ დაიხუროს მიხეილის ქუჩაზე გამართული არხი. გამგეობამ გადასწყვიტა, დაავალოს სასანიტარო სამკურნალოს საბჭოს დაათვალიეროს აღნიშნული არხი და გამოიკვლიოს, როგორ მოუწყოს იგი, რომ ხალხის ჯანმრთელობისათვის მავნებელი არ იქნას.

გუშინ, 9 სექტემბერს, ტფილისის ხორცის დუქნების გამგემ შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ გორის მაზრის სოფელ ბაკურიანში შევიძინე 237 სული საკლავი საქონელი 6280 მანეთადაო.

✦ კუჩენბახის სპილენძის ქარხანასთან ახლოს (ბორჩალოში) ოთხი შეიარაღებული თათარი შარაგზაზე ყველას აჩერებდნენ თურმე და სძარცვავდნენ: რამდენიმე ფურგუნი გაუძარცვავთ, ქალებიც-კი, და რაც რამ გააჩნდათ, ყველაფერი წაუღიათ. პოლიციას ვერ დაუჭერია ვერც ერთი მძარცველთაგანი, მხოლოდ ის-კი გამოუკვლევია ვითომ, რომ ერთი ოთხთაგანი ნაციმბარალიაო.

✦ ამ დღეებში ყარაის, მე-17 არხის პირას გლეხი უმიკაშვილი ხარებს მიერეკებოდა. ოთხი შეიარაღებული თათარი თავს დასცემია, ბევრი უცემიათ უმიკაშვილისათვის, ოთხი სული საქონელი წაურთმევიათ და თან გაურეკიათ. პოლიციას ერთი ავაზაკთაგანი შეუპყრია, დანარჩენებს დაეძებს.

✦ დღეს, 10 სექტემბერს, ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ექნება იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ქუჩების საუკეთესოდ მოკირწყვლის საქმე.

✦ 7 სექტემბერს, პოლიციის მე-10 ნაწილში, საღამოს 7 საათზე რაღაც მიზეზისა გამო ცეცხლი გაჩენია ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის არხივის ქაღალდებს მიხეილის ქუჩაზე, მეიერის სახლში. ცეცხლი მალე ჩაუქრიათ. ზარალი მცირეა. გამოძიება სწარმოებს.

შეცდომის გასწორება. „ცნ. ფურცლის“ მე-1916 ნომერში ასკანიდან მოწერილ კორესპონდენციაში შეცდომით დაბეჭდილია „ქალების სკოლისათვის ერთ წელს მოუგროვებია 200 მანეთი“; უნდა იყოს 1200 მანეთი.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს დაუდგენია, ამ თვის ბოლო რიცხვებში სხდომა მოახდინონ ბანკის დამფასებლების ასარჩევად. როგორც გვითხრეს, ჩვენ ახალგაზრდათაგან ბევრი უმაღლეს სწავლა-დამთავრებულნი, მომეტებულად იურისტები თხოულობენ თავისუფალს ადგილს ბანკის დამფასებლებისას.

✦ თავად-აზნაურთა კრებამ 5 სექტემბერს აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა შემუშავება იმ სასწავლებლის ტიპისა, რომელსაც უნდა უმაღლესად ნაპოძები ფული მოხმარდეს. კომისიაში არჩეულ იქმნენ: ი. ოცხელი, ს. ხუნდაძე, ი. ჯაფარიძე, ი. მკურნალი, კ. ლოლობერიძე, ბ. ზებურიშვილი, ს. ჯორჯიკია, ს. თოფურია, ს. ლოლობერიძე, ი. ბაქრაძე, ვ. აბულაძე, და ი. დარახველიძე. კომისიამ სასწავლებლის შესანახი ხარჯთ-აღრიცხვაც უნდა შეიმუშავოს და წარმოადგინოს.

✦ მკითხველებმა იციან, რომ ქუთაისის საბჭომ კომისია აირჩია, რომელსაც დაავალა კარგად შეესწავლა ყოველივე მიწერ-მოწერა და აგრეთვე 1896 წლის გამოკვლევა რკინის გზის ლიანდაგის ქუთაისზე გამოყვანის შესახებ. როგორც გვითხრეს, კომისიას დაუთვალიერებია თავისი შრომა და ამ დღეებში თავისს მოსაზრებას ამ საგნის შესახებ ქალაქის გამგეობას წარუდგენს. ეს ქალაქის გამგეობაც ამ გამოკვლევას და მთელს მიწერ-მოწერას თავისის დასკვნით, საჩქაროდ გზათა მინისტრს წარუდგენს. ამ საქმისათვის ცალკე დეპუტაცია მიდის ქუთაისიდან პეტერბურგს, თუ საბჭო ამის სურვილს გამოაცხადებსო.

✦ არქიელის გორაზე მცხოვრებლები შემოგვჩივიან, რომ იქ მოსახლე ზოგი მოსწავლე ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა და სემინარიისა ხან-და-ხან მეტად დიდს უზნეობას სჩადიან: ეტლი და ურემი ისე არ გაივლის, ზედ არ ჩამოეკიდონ ეს ვაჟბატონები და მეეტლესა, თუ მეურმის მხრით დანძღვა-გინება არ გამოიწვიონ. ხშირად მთელი აღიაქოთიც სტყდება ხოლმე და ამით მეტ უსიამოვნებას აყენებენ გამვლელ-გამომვლელთ თუ მშობლებ-მზრუნველებს.

✦ 6 სექტემბერს ქუთაისის საოლქო სასამართლომ გაარჩია საქმე ქუთაისის ებრაელ-მოქალაქის მიხეილ ციციაშვილისა. ციციაშვილს რკინის გზის სადგურს ქალადიდში სახალხო მატარებლის ვაგონიდან სხვისი ჩემოდანი მოეპარა.

სასამართლომ ექვსის თვით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა ციციაშვილს.

მეორე საქმე: სოფ. ნოჯიხევის (სამეგრელოში) მცხოვრებს ალექსანდრე დანილიას სოფ. აბაშას მცხოვრები ბიტო გაგუა ხანჯლით ისე დაუჭრია, რომ მარჯვენა ხელი გაჰფუჭებია. სასამართლომ დანელიას ორის თვით ციხეში ჩაჯდომა მიუსაჯა და გაგუას სასარგებლოდ ჭრილობის საექიმოდ 150 მან. ერთ დროულად.

რუსეთის ქრონიკა

✦ ერთმა პროფესორმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში დაარსებულ იქმნას სასოფლო მეურნეობის ეკონომიის კათედრა.

✦ 29 აგვისტოს პეტროკოვის გუბერნიის ქალაქ ჩენსტოხოვში შეტაკება მოსვლიათ ებრაელებსა და რუსებს. პირველად ერთ ვაჭარ ებრაელსა და გლეხის ქალს მოსვლიათ ლაპარაკი, რომელიც ჩხუბად გადაქცეულა. ამ დროს წაუქცევიათ დედაკაცი და უცემიათ. ეს ამბავი მალე მოსდებია იმ უბნებს, სადაც ხელოსნები და მუშები სცხოვრობენ. 12 საათიდან შეკრებილი ხალხი შესდგომია ებრაელების დუქან-სახლების ძარცვა-გლეჯას. როდესაც პოლიციას ვერაფერი გაუწყვია, ჯარი დაუბარებიათ. მაგრამ ბრბო არც მაშინ დაწყნარებულა. ბოლოს საქმე იქამდის მისულა, რომ ჯარს თოფები დაუცლია. ორი კაცი მომკვდარა და ექვსი დაჭრილა.

✦ ფინლიანდიის სამოსწავლო მთავრობა ოფიციალურ ენად მიწერ-მოწერასა და სხვა საქმეებში დღემდე შვედურ ენას ხმარობდა. ეხლა ადგილობრივ სამოსწავლო უწყებას ამ ენის ნაცვლად ფინური ენა შემოუღია.

✦ 1901 წელს ხაზინას დიდი შემოსავალი ჰქონდა მაგარ სასმელების დუქნებიდან. ამ წელს სულ სახაზინო დუქნებში გაყიდულა 382 მილიონ მანეთის სასმელი. წმინდა მოგება $55^{1}/_{2}$ მილიონი დარჩენილა.

პრესსა

რუსულ გაზეთებში ყოველ დღე იბეჭდება ცნობები სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა კომიტეტების მოღვაწეობის შესახებ. კომიტეტები მხნედ და ენერგიულად მუშაობენ. ამას ხელს უწყობს უმთავრესად ის გარემოება, რომ ერობათ წინადვე ჰქონდათ შეგროვილი დიდი და კარგი მასალა სოფლის ცხოვრების შესახებ. თითქმის ყველა სამაზრო კომიტეტებს საერობო გამგეობებმა წარუდგინეს ყოველმხრივი აღწერა თავიანთ რაიონებისა; ასე რომ კომიტეტებს ბევრი თავსატეხი საქმე არც-კი აქვთ. წინანდელ მაგალითების გარდა დავასახელებთ ნიჟეგოროდის მაზრის კომიტეტის მოღვაწეობას. კომიტეტისათვის სამაზრო ერობას წარუდგენია ვრცელი მოხსენება ნიჟეგოროდის მაზრის სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა შესახებ. მომხსენებელთ აღუნიშნავადა და შეუმუშავებლად არ დაუტოვებიათ არცერთი გარემოება, რომელიც წინ სწევს ან აბრკოლებს სოფლის ცხოვრებას. მოვიყვანთ აქ ამ მოხსენების რეზოლიუციებს, რომელნიც შეეხებიან წმინდა ეკონომიურს საკითხებსა და რომელნიც ერთხმად მიიღო სამაზრო კომიტეტმა:

1) სამეურნეო მრეწველობის ინტერესები იმავე დროს მაზრის გლეხობის ინტერესებია, რადგან ნიჟეგოროდის მაზრაში თავად-აზნაურობა თითქმის არც არის; 2) სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის მდგომარეობა მაზრაში იმდენად გასაჭირშია, რომ მხოლოდ საერთო მოღვაწეობა მთავრობისა, ერობისა და თვით გლეხებისა შესძლებს შეამსუბუქოს გაჭირვება; 3) ადგილ-მამული ველარ იტანს იმდენ გადასახადს, რამდენიც ამ ჟამად დააკისრეს; ამიტომ გადასახდთა შემცირება პირველი საქმეა სოფლის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის; 4) ხალხის გამოკვების საქმეს მოუსავლობის დროს უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, სხვათა შორის, საჭიროა საზოგადო მაღაზიებისა და საწყობების დაარსება ხორბლის შესანახად; 5) სასოფლო მეურნეობის პროგრესი უნდა დაიწყოს იმით. რომ გაფართოვდეს გლეხების სათიბი; 6) ამასთანავე მიღებულ უნდა იქმნან ღონისძიებანი გლეხთა საქონლის მოშენების გაუმჯობესებისათვის; 7) უნდა გავრცელდეს მიწათმოქმედთა შორის მიწის დამუშავების საუკეთესო საშუალებანი და საუკეთესო იარაღები, რისთვისაც მრავლად უნდა დაარსდეს საცდელ-სანიმუშო ფერმები; 8) უნდა დაარსდეს საწყობები, საიდანაც იაფ-ფასად უნდა მიჰყიდონ გლეხებს სამეურნეო იარაღები და თესლი; 9) მე-6 და მე-8 მუხლებში ნაჩვენებ საქმეებისათვის საჭიროა ხელმისაწდომ კრედიტის ორგანიზაცია; 10) რადგან მაზრიდან დიდ-ძალი გლეხი გადის სხვა და სხვა

ადგილას სამუშაოებზე, ამისათვის საჭიროა; შესწავლილ იქმნან გარე-მუშაობის პირობანი, აგრეთვე საოჯახო მრეწველობის საჭიროებანი; 11) ყველა ღონისძიებაში, რომელნიც მიღებულ იქნებიან სოფლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, უმთავრესი როლი ერობას უნდა აკუთვნონ, რადგან მხოლოდ ეს დაწესებულება სდგას ახლო ხალხთან და იცის მისი საჭიროებანი.

⁂

სიონისტების კრება მინსკში დასრულდა. კრებისა და სიონიზმის გამო გაზეთებმა სხვა და სხვა აზრი გამოსთქვეს: ზოგი თანაუგრძნობს სიონისტებს, ზოგი-კი დასცინის. საინტერესოა „რუსსკ. ვედომ"-ს აზრი. გაზეთი, რასაკვირველია, პატივისცემით იხსენიებს ებრაელთა ცდას, მაგრამ ამტკიცებს, სიონიზმის განზრახვათა ასრულება შეუძლებელიაო. გაზეთი ამბობს:

თუ შევადარებთ იმ ბრწყინვალე იმედებს, რომელთაც სიონისტების მეთაურნი აძლევენ ებრაელთა ხალხს და იმას, რაც ნამდვილად გააკეთეს სიონისტებმა, უნდა აღვიაროთ, რომ მათი ნამოღვაწევი მეტად მცირეა. უმთავრესი საგანი სიონისტებისა ის არის, რომ პალესტინაში შექმნან ებრაელთა დამოუკიდებელი სახელმწიფო. სწორედ ამ საგნის განსახორციელებლად სიონისტებს ერთი ფეხი არ გადაუდგამთ წინ; ხოლო არსებითად თუ ვილაპარაკებთ, ამ საგნის განხორციელება შეუძლებელიც არის... ებრაელთა ერი, როგორც ერთიანი ხალხი, არ არსებობს; არიან რუს ებრაელნი, გერმანელი ებრაელნი, რუმინელი ებრაელნი და სხვანი, რომელთათვის რეალური მხოლოდ მათ საცხოვრებელ ქვეყანასთან კავშირი; ეს კავშირი ბევრად უფრო ნამდვილი და მჭიდროა, ვიდრე მოგონილი ერთობა ყველა ებრაელებისა; ხოლო სახელმწიფოს შექმნისათვის საჭიროა რეალური კულტურული ერთობა. სიონიზმის იდეა იგივე მოძღვრებაა, რომელიც ჰფიქრობდა, რომ სახელმწიფოს დაარსება ხელშეკრულობით შეიძლებაო. მაგრამ სახელმწიფოს შექმნა ხელოვნურად არ შეიძლება; სახელმწიფო არის განსაზღვრული საზოგადოებრივი ცხოვრება განსაზღვრულს ტერრიტორიაზე, შექმნილი ისტორიულის პირობებით და არა შეუერთებელ, მთელს დედამიწაზე გაფანტულ ადამიანთა გონებით. სიონიზმმა-კი მოინდომა ყველა ისტორიულ საზოგადოებათა კანონის დარღვევა. ვთქვათ სიონისტებმა მოახერხეს და სულთანისაგან ნებართვა მიიღეს პალესტინაში სახელმწიფოს შექმნისა; ვთქვათ ისიც, რომ აღზარდეს ყველა ებრაელები და შეაგნებინეს მათ სახელმწიფოს შექმნის საჭიროება; ამ შემთხვევაშიაც მათი განზრახვა აუსრულებელია. აუსრულებელია იმიტომ, რომ პალესტინა ნამდვილი უდაბნოა, სადაც ცხოვრება არ შეიძლება. სიონისტების წინამძღოლმა იმდენი შრომაც არ მიიღო თავის თავზე, რომ პალესტინა შეესწავლა რეკლიუს წიგნით მაინც; ამიტომაცაა, რომ ახლა ბევრი სიონისტი წუნობს პალესტინას და საბრალო ებრაელთ სხვა ქვეყნებზე უთითებს: არაბეთზე, კიპროსზე და არგენტინაზე... გარდა ამისა თვით ებრაელთა უმრავლესობა ძალიან გულგრილად უყურებს სიონისტების ქადაგებას. ძველ ებრაელთათვის სიონიზმის პროექტს ნამეტანი პროგრესსიული ხასიათი აქვს; ახალგაზდობის ნაწილი-კი თითქმის მტრად გადაჰკიდებია ახალ მოძღვრების მქადაგებელთ. ამიტომ თვით სიონისტებს შორის დაიბადა განხეთქილება, რომელიც დღითი-დღე იზრდება და მატულობს. სიონიზმი დასავლეთ-ევროპის ბურჟუაზიის ქადაგებაა, იმ ბურჟუაზიისა, რომელიც დიდათ შეურაცხყოფილია ანტისემიტების მოძრაობით; ხოლო ებრაელთა ხალხი ეკონომიურად არის შევიწროებული და მისთვის სიონიზმს მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა, თუ ეკონომიურს კეთილდღეობას მისცემდა. მაგრამ ებრაელ ხალხმა ინსტიკტიურად შეიგნო, რომ პალესტინაში დასახლება ლუკმა არ მისცემს და ისევ ამერიკისაკენ გარბის. სიონისტების მოძრაობამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ ებრაელთა საკითხის გადაწყვეტა მოსახერხებელია იმავე ნიადაგზე და იმ სახელმწიფოში, სადაც ებრაელნი ცხოვრობენ.

ქუთაისისი გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება *)

4 სექტემბერს 1902 წლისა

გ. დ. ქორქაშვილი: გუშინ და დღესაც თავ. კირილეს დაუჟინია, ორმოცი სტუდენტი მოგვემატება ყოველ წლივ სტიპენდიების დაარსებითო. ერთიც არ მოგვემატება: ვინც გიმნაზიას ათავებს, ის ეხლაც მიდის უნივერსიტეტში. გთხოვთ დამისახელოთ, ვინ ვერ წავიდა უნივერსიტეტში სიღარიბის გამო? მე ერთი მაგალითიც არ ვიცი.

უნივერსიტეტი ჩვენ სწავლულებს და მეცნიერებს ვერ მოგვცემს, არამედ მხოლოდ ნასწავლებს. უნივერსიტეტში ოთხი წლით ყოფნა არ კმარა მეცნიერების შესაძენად. თუ უნივერსიტეტის გათავების შემდეგ ყმაწვილმა განიზრახა სწავლის გაგრძელება, მას სტიპენდიასაცართმევენ. მაშ თავ. კირილეს ლაპარაკი, „მეცნიერები გვინდაო", აქ სრულიად უადგილოა. გავიმეორებ, უნივერსიტეტი გვაძლევს მეცნიერებს კი არა, არამედ დიპლომიანებს, ასე თუ ისე ნასწავლებს. რაც შეეხება იმას, ყმაწვილები სიღარიბის გამო ფიზიკურად უძლურდებიან, უფუჭდებათ კუჭი, ფილტვებიო, ამას მეც ვეთანხმები, მაგრამ ჩვენგან დანიშნული 30 მანეთითაც ვერ იცხოვრებენ ისინი დალხინებით, ვერც სტიპენდიები მისცემს მათ „ბლამანჟეებს". საზოგადო კანონია: სადაც უბრალო წერა-კითხვა არაა გავრცელებული, იქ არც მეცნიერები არიან. ქუთაისის გუბერნიაში კი მხოლოდ 32% იცის წერა-კითხვა. თუ გერმანიაში ბევრი მეცნიერია, ეს სოფლის უთვალავმა სკოლებმა და მასწავლებლებმა შეჰქმნეს.

დ. ა. ლორთქიფანიძე უსაყვედურებს ზოგიერთ ორატორებს, რომელთაც ისე ასწერეს სტუდენტების ცხოვრება, თითქოს მათ არაფერი გაჭირვება არა ჰქონდეთ. თუმცა ის ძლიერ საჭიროდ ნახულობს სტიპენდიების დაარსებას, მაგრამ უპირატესობას მაინც სასწავლებელს აძლევს.

დ. გ. წულუკიძე: მე საზოგადოთ სკოლის მოსარჩლე ვარ. თუ გუშინ თავ. კირილეს ვეთანხმებოდი, ეს იმიტომ, რომ მეგონა, სპეციალურ განათლებას მოხმარდებოდა სტიპენდიები. დღეს მე ასეთი აზრისა ვარ: თუ ტფილისში სტიპენდიები დაარსდა სპეციალური განათლებისთვის, მაშინ ჩვენ სასწავლებელი დავაარსოთ. თუ იქ სასწავლებელი და — მაშინ ჩვენ სტიპენდიები, მხოლოდ სპეციალურ უმაღლეს სწავლისთვის კი.

სპ. ბ. ჯორჯაძე: როგორც გუშინ, ისე დღეს სტიპენდიების დაარსების მოსარჩლენი, ფეხ ქვეშ რომ ნიადაგი გამოაცალეს, გაცხარებითა და ყვირილით სცდილობენ ლელოზე ბურთის გატანას. თუ ამის მეტი ხელჩასაჭიდებელი საბუთი არ ჰქონდათ, ძლიერ დავაშავეთ, რომ დღევანდელ სხდომის გახსნისათანავე არ მივიღეთ ბ-ნ ხუნდაძის წინადადება და კენჭი არ ვუყარეთ სასწავლებელსა და სტიპენდიებს. თუმცა ყველასათვის, ვინც მაინცა-და-მაინც არ გაჟინიანდება, ნათელია სკოლის უპირატესობა, მაგრამ მე მაინც ვიტყვი კიდევ ორიოდე სიტყვას. თუ კი თავად აზნაურობამ ამ ოცის წლის წინად, როდესაც ყველა სასწავლებელში ბევრი იყო თავისუფალი ადგილი და თვით თავად-აზნაურობაც შედარებით უფრო მდიდარი, როდესაც უნივერსიტეტში წასვლა თითქმის გმირობად ითვლებოდა, უპირატესობა სკოლის დაარსებას მისცა, — ნუთუ ეხლა, როდესაც სასწავლებელში ადგილი არსადაა, უნივერსიტეტში წასვლა კი ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, ნუთუ ეხლა არ უნდა მივცეთ უპირატესობა სკოლის დაარსებას სტიპენდიებთან შედარებით? გუშინ ლაპარაკობდნენ, სკოლის დაარსებით შეტაკება და უსიამოვნება მოხდებაო, მაგრამ შეტაკებასა და უსიამოვნებას თუ იტყვით, ეს უფრო სტიპენდიების დაარსებით მოხდება. სტიპენდიებით ისარგებლებს ის, ვინც უფრო მდიდარია და კარგი ნაცნობობა ჰყავს. აი, ერთი მაგალითი, რომელიც ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში მოხდა: განთავისუფლდა თუ არა სტიპენდია, ეს ყველაზე უწინ გაიგო ერთმა შეძლებულმა აზნაურმა და წარმოადგინა თხოვნასთან სიღარიბის მოწმობა, რომ მისი ქალიშვილისთვის დაენიშნათ სტიპენდია. ეს გაიგო ერთს გავლენიან თავადს და მან ერთის მაგიერ ორი მოწმობა წარმოადგინა: ერთით ამტკიცებდა პირველი მთხოვნელის სიმდიდრეს, მეორეთი კი თავისს სიღარიბეს. ამას ყური მოჰკრა ერთმა ძლიერ მდიდარმა აზნაურმა და მთელი სამი მოწმობა წარმოადგინა; ორით ამტკიცებდა პირველი მთხოვნელების დიდს შეძლებულებას, მესამეთი კი თავისს უკიდურესს სიღარიბეს. ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ყველა ეს მოწმობები ერთი პირისაგან იყო მიცემული. რაღა გავაგრძელოთ, სტიპენდია მესამეს დარჩა. იმ დროს კი, როდესაც ეს შეძლებული თავად-აზნაურები სტიპენდიისთვის ერთმანერთს ედავებოდნენ, ნამდვილ ღარიბმა თავად-აზნაურობამ არც კი იცოდა სტიპენდიის არსებობა. თუ იმის შიში აქვს ვისმე, სკოლა დაგვეკარგებაო, სტიპენდიები კიდევ უფრო ადვილი დასაკარგავია. ამის მაგალითი სოხუმში იყო. მიკვირს, კომისიამ როგორ აირჩია სტიპენდიები, თუ მეტი სიმაგრე არ ჰქონდა, რომ მათი უპირატესობა დაემტკიცებია ჩვენთვის! თავ. კირილემ ბრძანა, კომისიამ თავისს სხდომებზე ათი იმდენი საბუთები მოიყვანა, რამდენიც მე დღეს მოვიყვანეო. მაგრამ მას რომ სრულიად არაფერი საფუძვლიანი უთქვამს! მაშ კომისიასაც ათჯერ არაფერი საბუთი ჰქონია, ე. ი. არავითარი საბუთი არა ჰქონია, და ტყუილად რათ იწუხებდა თავს!

შემდეგ კენჭი უყარეს ორ კითხვას: სკოლისა და სტიპენდიების დაარსებას. პირველმა კითხვამ მიიღო 29 თეთრი და 20 შავი, მეორემ — 26 თეთრი და 23 შ.

დონ-ვალიანი

ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულების კრება

შაბათს, 7 სექტემბერს, ტფილისის საბჭოს დარბაზში ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულების კრება მოხდა. წარსულ კრების ოქმის დამტკიცების შემდეგ მოქალაქეთა გამგეობის საქმის მწარმოებელმა ჭილიაევმა განაცხადა, რომ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო არ შემიძლიან ვიკისრო კრებაზედ მდივნობა, ამიტომ გთხოვთ სხვა აარჩიოთო. ამაზე რწმუნებულმა ადამიძემ განაცხადა: ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ მოქალაქეთა გამგეობაში რაღაც უსიამოვნება მომხდარა. მე, როგორც რწმუნებული, ვალდებული ვარ გამგეობის კეთილ-დღეობაზე ვიზრუნო, ამიტომ გთხოვთ მოახსენოთ საზოგადო კრებას, რა უსიამოვნება მოხდა და რა საქმისა გამო. ვიდრე კრება პასუხს მიიღებდა, გადასახადთა ამკრებმა მამასახლისმა ხოსროევმა ხმა-მაღლა წარმოსთქვა: დიახ, უსიამოვნება მოხდა და ყოველივე ბრალი საქმისმწარმოებელს ჭილიაევს უნდა დაედვას, რადგანაც მე ვამტკიცებ, რომ იგი მექრთამეა, ხოლო ასეთის კაცისაგან უსიამოვნება ყოველთვის მოსალოდნელიაო.

ასეთის განცხადების შემდეგ ჭილიაევმა მდივნობას თავი გაანება, ადგა თავის ადგილიდან და რწმუნებულთა შორის დაჯდა. რწმუნებულთა თხოვნით ჭილიაევმა დაიჭირა მდივნის ადგილი, მაგრამ მალე ისევ ჩამოვიდა, რადგანაც ხოსროევმა განაგრძო ლაპარაკი. ბოლოს ჭილიაევმა იკისრა მოხსენებების წაკითხვა, ხოლო კრების მდივნად მოწვეულ იქმნა საქმის მწარმოებლის თანაშემწე.

კრებას პირველად განსახილველად წარუდგინა განსაკუთრებულ კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი გადასახადთა ამკრებ მამასახლისის და მის თანაშემწეთა დაჯილდოვების შესახებ.

ამ პროექტმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია, რომელმაც შუა ღამემდე გასტანა. უმრავლესობა თანახმა იყო პროექტისა. დასასრულ კრებამ 36 ხმის უმეტესობით გადასწყვიტა მიეღო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად გუბერნატორს. ამის შემდეგ კრებამ 56 საქმიდან მხოლოდ 7—8 წვრიმალ საქმის განხილვა-ღა მოასწრო.

თეატრი

ბათუმი. თუ სადმე ჩვენს პროვინციალურ ქალაქებში თეატრის მოთხოვნილებამ იჩინა თავი, მათ შორის, ჩვენის აზრით, ბათუმს პირველი ადგილი უჭირავს; მაგრამ მიუხედავად ამისა, არ იქნა და ვერ მოეწყო აქ ქართულ წარმოდგენების საქმე! მართალია, ხან-და-ხან გვეწვევიან ხოლმე ტფილის-ქუთაისის დასის არტისტები და წელიწადში თითო ორ-ოლა წარმოდგენას ჰმართავენ, მაგრამ რას იზამს თითო ორ-ოლა წარმოდგენა იქ, სადაც თეატრი არსებით მოთხოვნილებად გადაქცეულა! ამ გარემოებას კარგა ხანია ყურადღება მიაქცია აქაურმა ქართველმა ინტელიგენციამ, მოისურვა სცენის მოყვარეთაგან სამუდამო დასის შედგენა და სისტემატიურად, თვეში ორჯელ, წარმოდგენების გამართვა. სულ ცოტა ოც-ჯერ მაინც იყო კრება, მაგრამ საქმე მაინც ვერ მოგვარდა. არც გასაკვირველია, რადგანაც აქაური სცენის მოყვარენი თეატრსა და ხელოვნებას მაგიდენად არ დაგიდევენ, იმათ უფრო სცენაზე გამოჭიმვა უნდათ საუკეთესო როლებში. აი სწორედ ეს არის მიზეზი, რომ აქ თეატრის საქმე ვერ მოეწყო. როლების განაწილების დროს სცენის მოყვარეთა შორის ერთი აურ-ზაური, აყალ-მაყალი და უთანხმოებაა ხოლმე. ყველას უნდა საუკეთესო როლში გამოვიდეს და გამოიჭიმოს საზოგადოებას. ასეთ ნიადაგზე აღმოცენებულმა უთანხმოებამ სცენის მოყვარენი რამდენიმე ჯგუფად გაჰყო, რომელთა მეთაურნიც ერთმანეთს ეჯიბრებიან. ისინი, თავიანთ ძალ-ღონის მიუხედავად, არ ერიდებიან საუკეთესო პიესების წარმოდგენას, [illegible]რის გამოც ბევრჯელ გვინახავს, დრამები კომედიებად და კომედიები ბალაგანურ თავ-შესაქცევრად გადაუქცევიათ.

ამ ზაფხულს სცენის-მოყვარეთა ერთმა ჯგუფმა შეადგინა დასი და ამასთან ქართული ხორო საყვარელიძის დირიჟორობით. ხორო ეს სამი თვეა ვარჯიშობს ქართულ სკოლაში, საიდანაც ყოველ საღამოს მოისმის ქართული ხმა. ხოროსა და სცენის მოყვარეთა დასს სურს ამ სეზონში წარმოდგენები და კონცერტები ჰმართოს. გისურვებთ, საქმე კარგად წაეყვანოთ.

კვირას, 1 სექტემბერს, ქართულის თეატრის აქტიორების სახელით ბ-ნთ ა. წუწუნავა და გ. ურუშაძემ ვიღაც სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოადგინეს (იმათის აზრით) „სამშობლო". ყველამ იცის, რა პიესაა „სამშობლო, რა ცრემლებისა და მწუხარების აღმძვრელი იგი, მაგრამ ჩვენმა „არტისტებმა" ტირილის ნაცვლად ხალხი უფრო აცინეს. სამწუხაროა, როცა ვიღაც ბიჭბუჭები პიესას ასე აბუჩად იგდებენ და ფეხ-ქვეშ სთელავენ, საზოგადოებას ატყუებენ და თავსაც იმასხარებენ. ვინც იცნობს გ. ურუშაძეს და ა. წუწუნავას, დაგვეთანხმება, რომ პირველი ლევან ხიმშიაშვილისა, ხოლო მეორე შაჰაბაზის როლში ყოვლად შეუფერებელნი არიან. ამ ვაჟბატონების თავ-გასულობა მეტიჩრობად და საზოგადოების აბუჩად აგდებად უნდა ჩაითვალოს. ამავე წარმოდგენაში ქეთევანის როლს მდივანი ასრულებდა, ხოლო ლევანისას — მირიანაშვილი.

ა. წუწუნავა და გ. ურუშაძე ახლაც აცხადებენ, რომ კვირას, 8 სექტემბერს, ქართულ თეატრის აქტიორებისაგან წარმოდგენილი იქნება განსვენებულ დრამატურგის ასიკო ცაგარლის სახსოვრად „ციმბირელი"-ო! ვურჩევთ ა. წუწუნავას და გ. ურუშაძეს, „ქართულის თეატრის აქტიორების" სახელით თავი გაანებონ წარმოდგენების მართვას და პიესების დამახინჯებას, ამით თვითონაც ირცხვენენ თავს და ქართულ თეატრსა და ხელოვნებასაც სახელს უტეხენ.

ონ—ლიძე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 სექტემბერი

პარიზი. გაზ. „ტან"-ი ამბობს, რომ ინგლისელებს უფლება ჰქონდათ კელანტანი დაეჭირათ და თუ ეს მოხდა კიდეც, საფრანგეთს მიზეზი არა აქვს ამაზე უკმაყოფილება გამოაცხადოს. სიამში მტკიცედ განსაზღვრულია ის ადგილები, სადაც საფრანგეთსა და ინგლისს თავის-თავად და თავისუფლად შეუძლიათ გავლენა მოიპოვონ, ამიტომ საფრანგეთი შეუმჩნევლად არასოდეს არ წაიწევს წინ, პირ-იქით, იმას ეცდება, სიამასთან ჩამოვარდნილს უთანხმოებას მშვიდობიანის მოლაპარაკებით ბოლო მოუღოს.

ოფიციოზური გაზ. „ფრანსის" იმას სჩივის, რომ სიამს წარმომადგენელი, გაათავებს თუ არა დელკასესთან ლაპარაკს, იქვარის ლონდონისაკენ, რომ მოლაპარაკების ამბავი ლანსდოუნს აცნობოს.

ლონდონი. ოფიციალ გაზეთში გამოცხადებულია, რომ ნეგუსს მენელიკს ებოძა „პირველი ხარისხის ორდენი, რომელსაც „ბანი"ს ეძახიან.

პეკინი. ჩენგ-ფუში დაიჭირეს ყველა „მოგრივე", რომელმაც კი ამბოხებაში მონაწილეობა მიიღო. ამბობენ, სიკვდილითაც დასჯიანო. ეხლა უკეთესი მდგომარეობაა. ინგლისისა და საფრანგეთის სამხარი გემები 70 მილზე ზღვაში დგანან. ქალაქში საფრანგეთის ზღვაოსნოთა ჯარი დგას; იმდენ აქეთ, საფრანგეთის კონსული და ეს ჯარი ერთად გემზე დაბრუნდებიან. საფრანგეთის საკონსულო აგენტმა გამოიკვლია მისიონერების მოკვლის საქმე და აღმოაჩინა, რომ ამის ბრალი ჩენჩაუ-ფუსა და ხონანის ჯარების უფროსს უნდა დაედოს. მანდარინებმა უკვე რვა კაცი სიკვდილით დასაჯეს.

რეველი. „რუსალკა"-ს ძეგლთან დილა ადრიან ხალხმა იწყო თავისს მოყრა. ისე, როგორც ამ ცხრა წლის წინად, „რუსალკა"-ს დაღუპვის დღეს, ზღვა დღესაც განსაკუთრებით ბობოქრობს. ძეგლთან ჯარი დგა, ამათ შორის, კრონშტადტიდან მოსული დეპუტაცია არტილერიისა და ზღვაოსანთა ჯარებისა, რომელთაც „რუსალკა"-ს ზღვაოსნები ეკუთვნოდნენ. 12 საათს გუბერნატორი და ადმირალი ვულფი, კონტრ-ადმირალი იენიში, ქალაქისა, თავად-აზნაურთა და ყველა დაწესებულების წარმომად-

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 1919.

გენელნი მივიდნენ ძეგლთან; იქვე იყვნენ ყველა სკოლის მოსწავლენი მასწავლებლებითა და დაღუპულ ზღვაოსანთა ნათესავები. პირველის ნახევარზე მოვიდნენ ზღვათა მინისტრი ტირტოვი და ადმირალი აველანი; ამ დროს ძეგლს ფარდა მოჰხადეს და დიდებული ძეგლი „რუსალკა“-სი დამსწრეთ თვალწინ წარმოუდგა. ზღვაში გემები იდგნენ და საერთო სალამი გადაუხადეს ძეგლს ზარბაზნების სროლით. მემუსიკეთა გუნდმა დაუკრა „კოლ სლავენ“. გემები ბაირაღებით შეიმოსა. გარდაიხადეს პარაკლისი და ძეგლი აკურთხეს. მერე ჯარი ცერემონიის მარშით მინისტრის წინ ჩაატარეს და შემდეგ ზღვაოსანთა საკრებულოში სასაუზმოდ წავიდნენ.

ბელგრადი. ხმა მოვიდა, ვითომ მანისტრთა საბჭომ რომელსაც მეფე თავმჯდომარეობდა, დაადგინა ვსთხოვოთ ოტომანის ბანკს გამორიცხოს დამატებითი მუხლი იმ ხელ-შეკრულობისა. რომელიც სესხს შეეხება. სერბიის ელჩი პარიზში გამოითხოვეს და უნდა მოვიდეს მეფის ბანაკში ნიშის ახლოს.

ტვერი. საბჭომ ერთხმად აირჩია გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი ქალაქ ტვერის საპატიო მოქალაქედ.

როსტოვი-დონზე. გუშინ, საღამოს 5 საათს როსტოვზე ჩაიარა სპარსეთის შაჰმა.

სოხუმი. საბჭომ დაადგინა: ვიშუამდგომლოთ, სახელმწიფო ხაზინიდან მოგვეცეს ორი მილიონი და 850 ათასი მანეთი და მომავალის წლიდან სოხუმში ნავთსადგურის გაკეთების მუშაობას შევუდგეთო; თუ ეს არ მოხერხდა—მოგვეცეს ნება, ქალაქმა ამ განზრახვით სამი მილიონის სესხი აიღოს იმ პირობით, რომ ნავთ-სადგურის შემოსავალმა გაისტუმროს.

პეტერბურგი. დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე კურსკიდან 7 სექტემბერს აქ მოვიდა.

სახელმწიფო ბანკი აცხადებს, რომ გამოიცა ბოლგარიის ხუთ-პროცენტიანი ოქროს სესხი 1902 წლისა 39.750.000 მანეთისა. სესხი უზრუნველ ყოფილია თამბაქოს შემოსავლით, რომელიც სამუდამოდ განთავისუფლებული იქნება ყოველისავე გარდასახადისაგან. სულ 212 ათასი ობლიგაციაა გასანაღდებელი; თითო ობლიგაციის ფასია 187 მან. 50 კაპ. ვინც ამ თავით ობლიგაციას შეიძენს, მხოლოდ 169 მან, 22 კაპ. უნდა გადაიხადოს. ხელის მოწერა გაიმართება პეტერბურგის ბირჟაზე 10 სექტემბერს და იმ დღესვე დასრულდება.

8 სექტემბერი.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია უმაღლესი რესკრიპტები დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძისა, მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსის დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძისა, სამხედრო მინისტრის გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა, კიევის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსის გენერალ-ადიუტანტის დრაგომიროვისა და ოდესის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსის გენერალ-ადიუტანტის გრაფ მუსინ—პუშკინის სახელობაზედ.

ფრანკფურტი-მაინზე. ნიუ-იორკიდან გაზ. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ, რომ ბირმინჰამის (ალაბამას შტატებშია) ერთ-ერთ საზოგადოებაში—შაილოში—ზანგ-ბაპტისტებს კრება ჰქონიათ ბაპტისტთა ეკლესიაში და ამ დროს შიშისაგან საშინელი არეულობა მოხდა: 80-მდე მოკლულ იქმნა, იმდენივე მძიმედ დაიჭრა და ასზე მეტმა მსუბუქი ჭრილობა მიიღო.

ცეტინიე. აქ ცნობები მოვიდა, რომ იპეკის ოლქში თურმე მეტად გაძლიერებულა არნაუტების მხრით ყაჩაღობა. დეჩანის მონასტერს არნაუტები თოფის სროლით თავს დასხმიან; დეკანოზი ნიკოდიმე რადულოვიჩი მრევლში მიდიოდა, ამ დროს არნაუტები თავს დასხმიან და, რაც ეკკლესიისათვის ფული შეუგროვებია, წაურთმევიათ.

ცარიცინი. 7 სექტემბერს ძლიერის ქარის დროს დაიწვა საზაფხულო თეატრი საზოგადო საკრებულოს სახლი. დამწვარი სახლები დაზღვეულია.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ-ინება ბრძანება, კურსკის გუბერნატორს გრაფ მილიუტინს უმაღლესი ბრძანება გამოეცხადოს იმ წესიერებისათვის, რომელიც კურსკის ქუჩებში დაცული იყო მისის უდიდებულესობის ამ ქალაქში მიბრძანების დროსა და აგრეთვე კურსკის გუბერნიაში მისის უდიდებულესობის ალლუმებზე მოგზაურობის დროს.

9 სექტემბერი

ორიოლი. 8 სექტემბერს აკურთხეს და გახსნეს თავად-აზნაურთა პანსიონი-თავშესაფარი. თავად-აზნაურთა წინამძღოლს სტახოვიჩს ხელმწიფე მემკვიდრემ კეთილ-ინება და მიულოცა თავ-შესაფარის დაარსება.

სევასტოპოლი. დიდს რეიდზე დგანან შავი ზღვის ესკედრას გემები, რომელნიც გუშინ ვიცე-ადმირალის გილდებრანდტის მეთაურობით აქ მოვიდნენ. ესკადრას თან მოჰყვა დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე, რომელიც გემს „როსტისლავ“-ს უფროსობს.

მოსკოვი. ვასილიევის ქალის სახლი დაიწვა პრესნას ნაწილში. დაიწვა სახლის პატრონი და ორი მოწიფული შვილი ამ ქალისა. ბევრი მდგმური მძიმედ დასახიჩრდა ცეცხლისაგან.

ტომსკი. აქ მოვიდნენ იაპონიისაკენ მიმავალნი იაპონიის გენერალი გაიში ნაგასაკა, იაპონიის მაიორები ონო და იამანაში და გაზეთის „ტოკიო აზახი შინბუნ“-ის რედაქტორ-გამომცემელი მარაი.

ყარსი. აქ გაიხსნა ქალთა პროგიმნაზია—პირველი საშუალო სასწავლებელი ყარსის ოლქში.

კონსტანტინეპოლი. სელამლიკის შემდეგ სულთანმა მიიღო რუსეთის ელჩი ზინოვიევი, რომელმაც ხელმწიფის სახელობით სალამი მიუძღვნა და მოახსენა რომ ხელმწიფე საუკეთესო გრძნობითაა სულთანისადმი გამსჭვალული და იმის სურვილი აქვს statusquo დაიცვას ბალკანეთის ცალკუნძულზე. სულთანმა სთხოვა ელჩს დაარწმუნეთ ხელმწიფე ჩემს შეურყეველს მეგობრობაში და მოახსენეთ, რომ ყოველს საშუალებას ვხმარობ, მაკედონიაში მშვიდობიანობა დაურღვეველი დარჩესო.

ნიუ-იორკი. გაზ. „ასსოსიატედ პრესს“-ის ცნობებით ლონდონიდან, ინგლისს მიუმართავს იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთაც ბერლინის ხელ-შეკრულობაზე ხელი უწერიათ, ამერიკის ნოტას გამო რუმინელ ებრაელთა მდგომარეობის შესახებ. ინგლისი სცდილობს, იქნება შესაძლებელი გახდეს, ევროპის სახელმწიფოებმა საერთო ღონე იხმარონ.

ბაქო. დილის ათ საათს შაჰი მოვიდა. ვოგზალზე საპატიო დარაჯი დაჰხვდა სალიანის პოლკისა ბაირაღით. შაჰს მიეგებნენ მთავრობისა და ქალაქის წარმომადგენელნი. ზღვაში გემები ბაირაღებით მოირთვენ. ქუჩები ხალხით სავსეა.

სოფია. თამბაქოს ბანდეროლი მთავრობამ გარდასცა იმ სინდიკატის წარმომადგენელს, რომელმაც ახალი სესხი მისცა.

პარიზი. რესპუბლიკელთა ბანკეტზე მატეში თავმჯდომარეობდა კომბი, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა და აღიარა, რომ უკანასკნელს არჩევნებზე დემოკრატიამ გაიმარჯვაო. კომბი ამტკიცებს, რომ კონგრეგაციების წინაალმდეგ გამოცემულის კანონებით არ დაირღვევა სამინისტროს დეკლარაციაში გამოთქმული პირობანი სასულიერო საქმეების შესახებ. მთავრობა მტკიცედ ადგა იმ გზას, რომ უცხო სახელმწიფოებთან კეთილი განწყობილება დაიჭიროს და გაამაგროს. შესამჩნევის საბუთებით დავამტკიცეთ, რომ მთავრობამ იცის სიტყვისა და საქმის გაერთიანება, თუმცა მოწინაალმდეგენი ცოტაოდენის შემთხვევებითაც კი სარგებლობენ, რომ კაბინეტის პოლიტიკაში ეჭვი შეიტანონ; მოუფიქრებელ სიტყვას ერთის მინისტრისას დაუყოვნებლივ ისე ხსნიან, თითქოს იგი მთელის მთავრობის მიმართულების გამომხატველი იყოს; ისინი არც კი სცდილობენ შეიტყონ, რამდენად მართლადაა ეს სიტყვები გადმოცემული. სადაც პარლამენტალური წესია შემოღებული, მთავრობა პასუხის მგებელია იმ სიტყვებისა, რომელნიც მხოლოდ თავისს მეთაურს წარმოუთქვამს და მხოლოდ იგი არის პასუხის მგებელი პალატასა და ქვეყნის წინაშე. „ჩვენ საკმარისად მიგვაჩნია მთავრობის პროგრამა, რომ ამით უცხო ერნი დავარწმუნოთ ჩვენს საუკეთესოსა და გულ-წრფელს მათთან დამოკიდებულებაში; ჩვენ თავიდან ავიშორებთ ყოველს მიზეზს, რომელსაც შეეძლება ჩვენთვის ერთი უპირველესი საჭიროება—მშვიდობიანობა—დაარღვევიოს“ (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

ორიოლი. ბრიანსკში ბორისოვოს მამულიდან მობრძანდა ხელმწიფე მემკვიდრე და ღამის 1-ლ საათზე დვინსკს წაბრძანდა.

პეტერბურგი. 8 სექტემბერს სევასტოპოლზე წავიდნენ სამხედრო მინისტრი, გვარდიის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტ. ვასმუნდი და სამხედრო უწყების პროტოპრესვიტერი ჟელობოვსკი, რომელნიც შიპკაზე მიდიან იქ ეკკლესია-ძეგლის კურთხევაზე დასასწრებლად.

ავსტრო-უნგრეთის ელჩი რუსეთში ბარონი ერენტალი 8 სექტემბერს საზღვარ-გარედ წავიდა.

მეორე შინაგან მომგებიანის სესხის ტირაჟი

2 სექტემბერს მოხდენილს ტირაჟში გაბათილებულ იქმნენ შემდეგი ბილეთები მეორე შინაგან მომგებიანის ხუთ-პროცენტიანის სესხისა:

ნუმრები სერიებისა:

00042
00195
00189
00276
00297
00385
00456
00513
00575
00812
00899
00991
01009
01247
01301
01350
01445
01487
01540
01825
01836
01882
02054
02056
02060
02155
02160
02208
02324
02377
02391
02450
02574
02652
02675
02730
02792
02878
03032
03140
03169
03235
03344
03380
03529
03531
03581
03595
03648
03699
03761
03777
03822
03868
03919
03925
03985
04087
04159
04243
04277
04340
04377
04431
04467
04727
04826
04831
04833
04845
04874
05062
05074
05129
05196
05244
05413
05547
05558
05842
05866
05957
05986
06121
06123
06155
06327
06385
06537
06577
06590
06753
06795
06805
06833
06888
06938
06972
07031
07198
07309
07432
07480
07555
07750
07812
07827
07839
07933
07946
08081
08222
08380
08402
08519
08535
08556
08714
08796
08976
09004
09109
09238
09246
09264
09265
09368
09582
09719
09737
09760
09778
09783
10202
10271
10540
10589
10661
10673
10837
10913
11049
11227
11577
11688
11757
11788
11829
11854
12068
12124
12218
12522
12582
12692
12708
12821
12831
12848
12886
13077
13108
13203
13210
13281
13318
13335
13372
13508
13539
13560
13633
13928
14006
14022
14306
14426
14527
14544
14562
14773
15005
15236
15282
15336
15351
15557
15625
15633
15791
16002
16042
16166
16382
16510
16547
16589
16849
16909
16936
17067
17093
17379
17479
17489
17589
17591
17690
17696
17835
17839
17845
17906
17960
18004
18040
18086
18117
18241
18257
18345
18456
18513
18535
18982
19080
19119
19280
19399
19411
19435
19445
19741
19885
19914
19964

(თითოეულს ქვემოდ აღნიშნულს სერიაში 50 ბილეთია 1-ლ ნომრიდან მე 51-მდე).

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 6 სექტემბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,95	
ბერლინზე 100 მარკაში	46,00	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,65	
ბერლინზე „	46,25	
პარიზზე „	37,57$^{1}/_{2}$	
ბირჟის დისკონტი	4$^{1}/_{2}$—6$^{1}/_{2}$%	
4% სახელმწიფო რენტა	97	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99	მყიდ.
4$^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა.	94$^{3}/_{4}$	გაყიდ.
5% 1-ლი შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	467	„
5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ.	357	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	292	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
4$^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—	
4$^{1}/_{2}$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	174$^{1}/_{2}$	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. 1(ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. . წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. ამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ. (

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

სპეციალურად ბუღალტერიის კურსებ დამთავრებული,
ქალაქ პეტერბურგში
ეძებს შესაფერ ადგილს.
პირობა მსურველთ ვსთხოვთ წერილით გვაცნობონ.
ადრესი: ტფილისი, ანტონოვის ქუჩა, № 23 ბუღალტერს. (3—402—1)

საჭიროა
ქალი
ხოლოთ ქართული ენის მცოდნე, პატარა ბავშვების მოსავლელად.
ადრესი: იზმაილოვის ქ. № 5 ბექთაბეგოვის სახლი. (3—403—1)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
ამით აცხადებს, რომ 10 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე, გამგეობისავე თანადასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც გაიცემა მიწის სამუშაო შეუძლებელთათვის ნ. ე. ზუბალაშვილის სახელობაზე სახლის ასაგებათ, სასამართლოს ქუჩაზე. სამუშაო ადგილი 990 ოთ-ხკუთხი საჟენია.
მსურველთ პირობების გასინჯვა შეუძლიანთ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—3)

რესტორან!
ონანოვის ქარვასლაში სიონის პირ-და პირ ქ. ტფილისში ახლად გასუფთავებული და ყოველივე მხრით გაუმჯობესებული. ფასები ყველაზე ზომიერია.
სადილი ორი „ბლუდით“ და ყავა
30 კაპ.
რესტორანის პატრონი ზ. ი. შაფაქიძე
6—393—5

ცინკოგრაფია
ჟურნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

Дозв. ценз. Тифлисъ, 9 Сентября, 1902 г.
ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).